# ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №42

## 2011 წლის 11 ნოემბერი

## ქ. ახმეტა

## ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი (დანართი №1-ის შესაბამისად).

**მუხლი 2.** დამტკიცდეს ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ღირებულების დადგენის აქტის ფორმა (დანართი №2-ის შესაბამისად).

**მუხლი 3.** დამტკიცდეს ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა აქტიური ნაწილის (მანქანა-დანადგარებისა და სხვ.) ღირებულების დადგენის აქტის ფორმა (დანართი №3-ის შესაბამისად).

**მუხლი 4.** დამტკიცდეს ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტის ფორმა (დანართი №4-ის შესაბამისად).

**მუხლი 5**. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადეს:

ა) ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 მარტის №8 დადგენილება ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართისა და მეორადი სამშენებლო მასალების რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 იანვრის №4 დადგენილება ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებით 50 %-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ (ვებპორტალი, 040211, 04/02/2011).

**მუხლი 6.** დადგენილება ამოქმედდეს ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯ. ხანგოშვილი**

# ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ეს წესი განსაზღვრავს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ქონება – ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის, მის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და 100 %-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირის ბალანსზე რიცხული ქონება.

2. ჩამოსაწერი ქონება – ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონება.

3. დაწესებულება – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან მის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირი.

4. საინვენტარიზაციო კომისია – ქონების ინვენტარიზაციის მიზნით დაწესებულებაში შექმნილი კომისია.

**მუხლი 3. ინვენტარიზაციის ჩატარება**

1. დაწესებულებაში (რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებიდან) ინვენტარიზაცია ტარდება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად.

2. დაწესებულების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება ყოველი წლის ბოლოს ჩატარებული აქტივებისა და ვალდებულებათა ინვენტარიზაციის საფუძველზე, ხოლო ჩამოწერის შედეგები აისახება დაწესებულების წლიურ ბალანსზე. გამონაკლის შემთხვევებში, თუ ამას დაწესებულების ინტერესები მოითხოვს, ძირითადი საშუალებების ჩამოწერა შეიძლება განხორციელდეს წლის სხვა პერიოდშიც.

**მუხლი 4. საინვენტარიზაციო კომისია**

1.საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში – კომისია) იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი.

3. კომისია შედგება თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, ბუღალტრისა (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და სხვა წევრებისაგან.

4. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების ხელმძღვანელმა კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოიწვიოს დარგის სხვა სპეციალისტებიც. მოწვეული სპეციალისტები არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით; ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

**მუხლი 5. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი**

1. კომისია სწავლობს ამორტიზებული ან ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი (ვადაზე ადრე ჩამოწერა) ძირითადი საშუალების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, ასაბუთებს ძირითადი საშუალების დაწესებულების ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ადგენს ლიკვიდაციის

(ჩამოწერის) აქტს ყველა ძირითად საშუალებაზე ცალ-ცალკე. კომისია ასევე ამზადებს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტს, ამ წესზე თანდართული ტიპური აქტების ფორმის შესაბამისად (დანართი №2, დანართი №3) და, საჭიროების შემთხვევაში, ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტს (დანართი №4), რომელსაც წარუდგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

2. ქონების ჩამოწერის აქტი უნდა შეესაბამებოდეს „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის №511 ბრძანების მოთხოვნებს.

3. საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და მათი ლიკვიდაციის შედეგად მიღებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულებების დადგენის აქტების შემოწმებასა და დადასტურებას შესაბამისი აუდიტორის მიერ, რის შემდეგაც იგი ამტკიცებს კომისიის მიერ ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებულ ყველა აქტს.

4. აუდიტის დასკვნაში ასევე ასახული უნდა იყოს ჩამოსაწერი ქონების ფიზიკური, ფაქტობრივი მდგომარეობა და შესაბამისი ფოტომასალა.

5. დაუმთავრებელი მშენებლობის ან ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი შენობა-ნაგებობის ჩამოწერისას საჭიროა საექსპერტო დასკვნა.

6. დაწესებულების ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის პროცედურის დასრულების შემდეგ და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) აისახება ბალანსში მარაგების სახით კომისიის მიერ დადგენილი ღირებულების შესაბამისად.

**მუხლი 6. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების განადგურება და განკარგვა**

1. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენებაც შეუძლებელია, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე ექვემდებარება განადგურებას.

2. ქონების განადგურების პროცესს ესწრებიან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ კომისიის შემადგენლობიდან განსაზღვრული პირები.

3. ქონების განადგურებას ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს დაწესებულება, რომელსაც ეკუთვნის გასანადგურებელი ქონება.

4. ქონება უნდა განადგურდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ ადგილებში.

5. ქონების განადგურების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განადგურების პროცესის დამსწრე პირები.

6. ქონების განადგურებისათვის აუცილებელი ხარჯი ფინანსდება შესაბამისი დაწესებულების მიერ.

7. განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი.

**მუხლი 7. ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების რეალიზება**

ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების რეალიზება ხორციელდება საჯარო აუქციონის ფორმით (აუქციონი პირობებით), „თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს №22 დადგენილების შესაბამისად.

**მუხლი 8. ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ჩამოწერის წესი**

1. თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ჩამოწერის საკითხს წყვეტს შესაბამისი იურიდიული პირის ხელმძღვანელი, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თანხმობას გასცემს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულების მომართვის საფუძველზე. მომართვას თან უნდა ერთოდეს აუდიტის დასკვნა და კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტები.

3. აუდიტის დასკვნაში ასევე ასახული უნდა იყოს ჩამოსაწერი ქონების ფიზიკური, ფაქტობრივი მდგომარეობა და შესაბამისი ფოტომასალა.

4. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტი.

5. თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) იმ ქონების (ნივთის) ჩამოწერის საკითხს, რომლის საწყისი საბალანსო ღირებულება არ აღემატება 1000 (ერთი ათასი) ლარს, ერთპიროვნულად წყვეტს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი.

6. ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი.

7. ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია ხდება „თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს №22 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

## ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ღირებულების დადგენის აქტის ფორმა

ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ღირებულების დადგენის აქტი

20 - წლის „———„————————— მდგომარეობით

საწარმოს დასახელება ——————————————————————————————

| № | ძირითადი საშუალების დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის წელი | ექსპლუატაციაში ყოფნ ის ვა და | ღირებულება გადაფასებამდე (ლარი) | ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე | | ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე | | ნარჩენი სბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი, გრ5-გრ9) | გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. №295 ბრძანებულების საფუძველზე | ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი) | ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი) | საამორტიზაციო ანარიცხის ნორმა ძირითადი ფონდის სრ ულ აღდგენაზე | ფიზიკური ცვეთა | | | | ნარჩენი სბალანსო ღირებულება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | % | ლარი | % | ლარი | | | | | | ბუღალტრული ცვეთის % | საბოლოო ფაქტობრივი მდგომარეობით % | საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით % | ლარი | ლარი | აშშ დოლარი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

კომისიის წევრები: 1. ——————— ვამტკიცებ: ვადასტურებ:

2. ——————— საწარმოს ხელმძღვანელი ——————— აუდიტორი ———————

3. ——————— ბ.ა. ბ.ა.

## ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა აქტიური ნაწილის (მანქანა-დანადგარებისა და სხვ.) ღირებულების დადგენის აქტის ფორმა

საწარმოს დასახელება ——————————————————————————————

ჩამოსაწერ საშუალებათა აქტიური ნაწილის (მანქანა-დანადგარებისა და სხვა) ღირებულების დადგენის აქტი

20 ———— წლის მდგომარეობით

| № | ძირითადი საშუალების დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის წელი | ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა | ღირებულება გადაფასებამდე (ლარი) | ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე | | ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე | | ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი), გრ. 5-გრ. 9) | გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. №295 ბრძანებულების საფუძველზე | ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი) | ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი) | საამორტიზაციო ანარიცხის ნორმა ძირითადი ფონდის სრ ულ აღდგენაზე | ფიზიკური ცვეთა | | | | ნარჩენი საბალანსო ღირებულება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | % | ლარი | % | ლარი | | | | | | ბუღალტრული ცვეთის % | საბოლოო ფაქტობრივი მდგომარეობით % | საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით % | ლარი | ლარი | აშშ დოლარი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| | | |
|---|---|---|
| კომისიის წევრები: 1. ———————— | ვამტკიცებ: | ვადასტურებ: |
| 2. ———————— | საწარმოს ხელმძღვანელი ———————— | აუდიტორი ———————— |
| 3. ———————— | ბ.ა. | ბ.ა. |

## ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტის ფორმა

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი
20 ——— წლის ,,————„ ————————————————
დაწესებულების დასახელება ————————————————————————————————————

| № | ძირი-თადი აქტივის დასა-ხელება | ექსპლუ-ატაციაში შესვლის (გამოშვე-ბის) წელი | საწყისი საბა-ლანსო ღირებუ-ლება გადაფა-სებამდე | ცვეთა გადაფასებამდე % ლარი | | გადაფა-სების კოეფი-ციენტი | საწყისი საბა-ლანსო ღირე-ბულება გადაფა-სების შემდეგ (ლარი) | ცვეთა გადა-ფასების შემდეგ (ლარი) | ნარჩე-ნი საბა-ლანსო ღირე-ბულე-ბა (ლარი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |

კომისიის შემადგენლობა: ————————————————————————————————————
————————————————————————————————————————————————————————
————————————————————————————————————————————————————————
————————————————————————————————————————————————————————
————————————————————————————————————————————————————————

შექმნილი 20 წ ——— ———————————— № ——————————————————— ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ——— საფუძველზე, რომელმაც დაათვალიერა ————————————————————————————————————————————
————————————————————————————————————————————————————————
————————————————————————————————————————————————————————
———————————————————————————————————— (ძირითადი საშუალების დასახელება)
და აღმოჩნდა, რომ ძირითადი საშუალება ლიკვიდირებულ უნდა იქნეს შემდეგის საფუძველზე:

1. ექსპლუატაციაში შესვლის (გამოშვების) წელი ————————————————————

2. საწყისი საბალანსო ღირებულება: ————————————————————————————

3. ძირითადი აქტივის ტექნიკური მდგომარეობა და ლიკვიდაციის მიზეზი:

ა) ————————————————;
ბ) ————————————————;
გ) ————————————————;

კომისიის დასკვნა: ————————————————————————————————————————
————————————————————————————————————————————————————————
————————————————————————————————————————————————————————

კომისიის წევრები: 1. ————————————————————————

2. ————————————————————————

3. ————————————————————————

4. ————————————————————————

ვამტკიცებ:

კომისიის თავმჯდომარე ——————————————

ბ.ა.

## ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის შედეგების გამოთვლა

| **დანახარჯების ლიკვიდაცია** | | | **ლიკვიდაციის შედეგად მიღებული** | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დოკუმენ-ტაციის დასახელება | დანახარჯების ჩამონათვალი | თანხა (ლა-რი) | დოკუმენტაციის დასახელება | ფასეულობათა სახეები | რაოდე-ნობა | თანხა (ლარი) |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

ლიკვიდაციის შედეგის საერთო თანხა: ——————— (————————————————) ლარი

ლიკვიდაციის შედეგი: ————————————————————————————————————————

მთავარი ბუღალტერი ——————————— „ ———” ——————————————— 20 —— წელი

კომისიის თავმჯდომარე ——————————————

ბ.ა.